ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თაობა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 25-27 მაისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
22.06.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს თაობა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**445474415**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი ბათუმი**
იურიდიული მისამართი	**ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა, N17ა/19**
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ., N 30 ა**
საფოსტო ინდექსი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ვებ-გვერდი	**www. taoba.edu.ge**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**generation-62@mail.ru**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**995 593 300 608**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**ომარ მიქელაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**593300608**
ელ-ფოსტა	**generation-62@mail.ru**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თაობაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 28 აპრილის ბრძანება №430130 (ცვლილება ბრძანებაში N455324).
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25.05.2022 - 27.05.2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	ირინა დვალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6/ პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის,	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.4.*	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.3*	
	2..8	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ახალგაზრდა, განვითარებაზე ორიენტირებული გუნდი, თანამშრომლობის მაღალი მაჩვენებელი და მმართველი გუნდის აქტიური ჩართულობა სიახლეების დანერგვის საქმეში (ტრენინგების, გამოცდების დაფინანსება). დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაა ასევე სკოლაში არაფორმალური განათლების განვითარება და კლუბებში მოსწავლეთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი: • რა? სად? როდის? კლუბი (8-12 კლასი) • დებატ-კლუბი (8-12 კლასი) • კლუბი "საინტერესო კვირეულები" (საბაზო საფეხური) • კლუბი "სიბრძნე მინიატურებში" (5-6 კლასი) • კლუბი "სამყარო საინტერესოა" (5-6 კლასი) • კლუბი "ბერძნული მითოლოგია" (6-7 კლასი) • კლუბი "მსოფლიო კულტურა" (7-8 კლასი) • კლუბი "მსოფლიო მოთხრობები" (9 კლასი) • კლუბი "იდეები და ღირებულებები" (10 კლასი) • კლუბი "უდიდესი მოაზროვნეები" (11 კლასი) • მათემატიკოსთა კლუბი (3-4 კლასი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა: შექმნას ისეთი გარემო, რომლის მეშვეობით მოსწავლე სკოლაში სწავლის პერიოდში მიიღებს სრულფასოვან და მრავალფეროვან აკადემიურ განათლებას. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესი იყოს მოსწავლის ცნობისმოყვარეობაზე და ინტერესებზე ორიენტირებული, რათა მათ გაუღვივდეთ სწავლისადმი ინტერესი. გარდა აკადემიური განათლებისა, სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეებს განუვითაროს ემპათიური უნარ-ჩვევები და ინტელექტუალური შესაძლებლობები. მოსწავლე იყოს არამხოლოდ ცოდნის მატარებელი, არამედ სწორი და გააზრებული ღირებულებების მქონე სრულფასოვანი პიროვნება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლემ იცოდეს თავისი უმნიშვნელოვანესი როლი საზოგადოებაში, რათა ის იყოს პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი და თავისუფალი მოქალაქე. სწავლა-სწავლებისადმი თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისად მოსწავლის ინტელექტუალური, პიროვნული, მოქალაქეობრივი განვითარება სასწავლო პროცესის უმთავრესი მიზანია და ამიტომაც სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეებს შეუქმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაგანმანათლებლო ღირებულებების მატერიალური, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, განუვითაროს მოსწავლეებს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მისცეს საჭირო ცოდნა-განათლება, გაუძლიეროს ჯანსაღი ცხოვრებისადმი ინტერესი. სკოლის მიზანია მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობის გაცნობიერებაში. ამასთანავე, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ტექნოლოგიური და სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად დაუფლება-გამოყენებაში, ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებასა და ანალიზში. ასევე ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს მოსწავლეში უცხოური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ენების მაღალი, თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად დაუფლების საქმეს. სკოლის უმთავრეს ამოცანას შეადგენს ყველა ღონისძიება მიმართოს მასწავლებელში ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გასააზრებლად, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებისა და დაცვის აუცილებლობის, გაგებისა და შემეცნებისათვის. სკოლაში წარმართულმა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესმა მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს და განუვითაროს საკუთარი, დამოუკიდებელი, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები, განუვითაროს მოთხოვნილებანი საკუთარი შესაძლებლობისა და ინტერესების უწყვეტი განვითარებისა და მათი მაქსიმალური რეალიზებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოს საზოგადოების მომავალ წევრებს გამოუმუშაოს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი აღზრდილები იყვნენ შემოქმედნი, კანონმორჩილნი და ტოლერანტი მოქალაქენი“.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**არ გაცემულა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 272	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თაობამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2021 წლის 02.09. N01-04/2 ცვლილება შესულია 02.05.2022N01-04/9 ბრძანებით). წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა გარკვეულწილად განსხვავებულია იმ რედაქციისგან, რომელიც გამოგზავნილი იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციის მაძიებლის სტატუსის მოპოვების მიზნით. დირექციამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დარგში დირექტორის მოადგილის 2022 წლის 26 აპრილის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ შემთხვევითობის პრინციპით გადახედა სკოლის გარკვეულ დოკუმენტაციას, მათ შორის 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმას, რის შედეგადაც გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობები, კერძოდ, დოკუმენტში სტრუქტურული განლაგების დარღვევა, სიტყვათა არასწორი შეთანხმებები, კორექტურის საჭიროება, დოკუმენტში ცხრილების ჩასმის გამო ნარატიული ტექსტის დარღვევა, ნუმერაციის აღრევა, მეორე სემესტრის საგაკვეთილო ცხრილის დამატების საჭიროება და ა.შ. აღნიშნულის საფუძველზე დირექტორის ბრძანებით შედგა ჯგუფი, რომელმაც გადახედა ყველა სასკოლო დოკუმენტს და მათში გარკვეული ტექნიკური ცვლილებები შეიტანა, ამის საფუძველზე დირექტორს წარედგინა მუშაობის ანგარიში, ხოლო თავის მხრივ ანგარიში გახდა დირექტორის ბრძანების საფუძველი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განხორციელებულიყო ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში (ჩამოთვლილი დოკუმენტები: ხარისხის უზრუნველყოფის დარგში დირექტორის მოადგილის 2022 წლის 26 აპრილის მოხსენებითი ბარათი, დირექტორის 2022 წლის 26 აპრილის 01-04/8 ბრძანება სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გადახედვისა და მოწესრიგების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფის ანგარიში, დირექტორის 2022 წლის 2 მაისის 01-04/9 ბრძანება ცვლილებების შესახებ თან ახლავს დასკვნას, დანართის სახით 4 ფურცლად. ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით. სასკოლო სასწავლო გეგმის საკითხები პირველ რიგში განხილულია საგნობრივ კათედრებზე, შემდგომ პედსაბჭოზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით - როგორც ამას სკოლის დებულება ითვალისწინებს. სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: • სკოლის მისია; • სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება; • ზოგადი განათლების საფეხურის ამოცანები; • სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; • საათობრივი ბადე; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სწავლა-სწავლების მიზნები; • სასწავლო წლის კალენდარი; • დისტანციური სწავლების ორგანიზების საკითხები; • მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე; • გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი; • მოსწავლის შეფასების სისტემა; • შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობები საგნების მიხედვით; • ინკლუზიური განათლება; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ახლავს: • 2021-2022 წლის პირველი და მეორე სემესტრების საგაკვეთილო ცხრილები; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების აღწერილობა; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების დასაბუთება და აღწერილობა; • დისტანციური სწავლების ორგანიზების წესი. სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მისიისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ყველა მათგანი აქტიურად იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩართული და შესაბამისად, მათ კარგად აქვთ გააზრებული მუშაობის მთავარი პრინციპები და მიზნები. სკოლის მისიიდან გამომდინარე, სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ მოსწავლეთა სრულფასოვან და მრავალფეროვან აკადემიურ განათლებაზე, არამედ მათში ემპათიური უნარ-ჩვევების, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების, ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებასა და მათ პასუხისმგებლიან მოქალაქებად ჩამოყალიბებაზე. სკოლის მისიასთან დაკავშირებით, რომელშიც ძალიან საინტერესოდ და ვრცლად არის წარმოდგენილი სკოლის რაობა, მისი მიზნები, დასახული ამოცანები, მთავარი ღირებულებები, <u>სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია მისია იყოს უფრო მოკლედ ფორმულირებული და ლაკონური.</u> სსგ-ის მიხედვით, მე-2 და მე-11 კლასების სასწავლო კალენდარი მოიცავს 35 სასწავლო კვირას, ხოლო 1-ლი და მე-12 კლასებისა- 30 სასწავლო კვირას. სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. თუმცა, განსაზღვრულია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სკოლამ 6 დღიანი კვირეული დატვირთვით წარმართოს სასწავლო პროცესი. დასვენების დღეები, ასევე, სრულად შეესაბამება ოფიციალურად დადგენილ თარიღებს. სკოლაში IV-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. პირველ კლასში - 35 წუთით, ხოლო მეორე და მესამე კლასში 40 წუთით. შესვენებებს შორის არის ორი 10 წუთიანი დასვენება - მე-2 და მე-3 გაკვეთილების შემდეგ. სსგ-ის დოკუმენტით განსაზღვრულია დისტანციური სწავლების პრინციპები, რომლის შემუშავების დროს სკოლამ იხელმძღვანელა განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2020 წლის 9 სექტემბერი №95/ნ ბრძანების შესაბამისად (საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები). სკოლა დისტანციურ სწავლებას წარმართავს Microsoft Teams-ის პლატფორმის მეშვეობით. დისტანციური სწავლება წარიმართება დისტანციური სწავლების ორგანიზების წესის თანახმად. საათობრივი ბადე ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კლასებისა და საგნების მიხედვით აკმაყოფილებს მინიმალური საათობრივი დატვირთვის მოთხოვნებს. ესგ-ის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სკოლა კონკრეტული საგნის წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% ანაწილებს სხვა საგნებს შორის. თითოეული ცვლილება სკოლას დასაბუთებული აქვს, რაც ასევე ასახულია კათედრებისა და პედსაბჭოს ოქმებში. აღნიშნული ცვლილებები გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ქმედითი მექანიზმის საფუძველზე. ყველა სავალდებულო საგანთან ერთად, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ესგ-ით გათვალისწინებულ და გაუთვალიწინებელ დამატებით სასწავლო და სააღმზრდელო მომსახურებასაც. შემუშავებულია შესაბამისი პროგრამების აღწერილობა და სწავლების მიზნობრიობის დასაბუთება. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით მომსახურებად სკოლამ 2021-2022 სასწავლო წელს მოსწავლეებს შესთავაზა: ჭადრაკი-I-IV კლასებში, კვირაში 1 საათი და გერმანული ენა III-VI კლასებში, კვირაში 2 საათი. სკოლამ წარმოადგინა ორივე საგნის პროგრამა, რომელშიც დასაბუთებულია სწავლების მიზნობრიობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	როგორც სკოლის წარმომადგენლებთან და გერმანული ენის მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, გერმანული ენის, როგორც გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის სწავლება მთავრდება მე-6 კლასში და მსურველებისთვის გრძელდება ფაკულტატური სახით მე-7 კლასიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას მიეცა შემდეგი რჩევა: გერმანული ენის სწავლების სირთულიდან გამომდინარე, სასურველია, ეფექტური შედეგის მისაღწევად, სავალდებულო სწავლება გაგრძელდეს მეცხრე კლასის ჩათვლით ან/და გერმანული ენა მოსწავლეებს შეეთავაზოთ მხოლოდ ფაკულტატური სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით პირველ და მეორე კლასებში ისწავლება საგანი ეთიკა. სკოლამ წარმოადგინა საგნის აღწერილობა, დასაბუთება, სასწავლო თემებისა და საკითხების ჩამონათვალი. საგანი ისწავლება კვირაში 1 საათი. სკოლაში, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი: • კლუბი „სამყარო საინტერესოა“ • კლუბი „ბერძნული მითოლოგია“ • კლუბი „მსოფლიო კულტურა“ • კლუბი „მსოფლიო მოთხრობები“ • კლუბი „იდეები და ღირებულებები“ • კლუბი „სიბრძნე მინიატურებში“ 2021-2022 სასწავლო წელს, საშუალო საფეხურზე, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა შემდეგ არჩევითი საგნები: X კლასი - ხელოვნების ისტორია; XI კლასი - ეკონომიკა და სახელმწიფო; XII კლასი - ხაზვა (I სემესტრი კვირაში 2 საათი). არჩევითი საგნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეთავაზება განხორციელდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სპორტის სახეობებიდან სკოლას არჩეული აქვს: VII-XII კლასებში ხელბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმის განხილული ვარიანტი, დანართის სახით, თან ახლავს ექსპერტთა დასკვნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა; • საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები; • პედსაბჭოს ოქმი; • ინტერვიუები მასწავლებლებთან, სკოლის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში წარმოდგენილი იყო საგნობრივი კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია-სხდომების ოქმები, პედაგოგთა პორტფოლიოები, მოსწავლეთა ნამუშევრები. გარდა წარმოდგენილი დოკუმენტებისა, პედაგოგებთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ საგნობრივ სტანდარტებს, გაკვეთილებს გეგმავენ და აგებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთულ გაკვეთილებს, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი თემატური გეგმებიდან ჩანს, რომ გაკვეთილები თითოეულ კლასსა და საგანში დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტისა და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუები; • მასწავლებელთა პორტფოლიოები; • კათედრების სხდომების ოქმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა თაობის მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ თავიანთ მოსწავლეებთან სხვადასხვა მეთოდით და მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებით (როლური თამაშები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება-პრობლემების განხილვის მიზნით, წარმოდგენის მეთოდი, ჯიგსო 1, ჯიგსო 2, ასაკობრივი დიფერენციის მეთოდი, დებატები, ინტელექტუალური თამაში ,,სად, რა, როდის?“ სხვადასხვა თემაზე, მათემატიკური ფაზლი, რიცხვითი მატარებელი, გეომეტრიული ფიგურებით აქტივობები, ჟესტების ენის გამოყენება უცხოური ენების სწავლებისას, ტურნირები და სხვა). როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგაკვეთილო პროცესში, ასევე საკლუბო მუშაობის დროს. უკუკავშირის დროს იყენებენ მრავალფეროვან შეფასების ინსტრუმენტებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს თავისი ინტერესებისა და მონაცემების მიხედვით სწავლა, რეალიზება და განვითარება. 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებულია ინკლუზიური სწავლების კონცეფცია და შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. დოკუმენტში აღწერილია ინფორმაცია იმ მექანიზმების შესახებ, რომელიც ადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭების და სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან; • მასწავლებლების პორტფოლიოები
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ტიპები; შეფასების დონეები; შეფასების კომპონენტები; განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოცდების ტიპები. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში წლიური გამოცდების ჩატარება არ არის დაგეგმილი. კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრების და წარმოდგენილი პორტფოლიოების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის მიერ შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები. განსაზღვრულია გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი; საშემოდგომო გამოცდის ჩატარების მექანიზმი; შემაჯამებელი დავალებების რაოდენობები საგნებისა და კლასების მიხედვით. მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა ასევე, რომ ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს და რუბრიკებს, რომლებსაც მათ მასწავლებლები ყველა დავალების წინ აცნობენ. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასებას, რომელშიც აღნიშნავენ მის წარმატებებს და მიუთითებენ, თუ რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებლები IV კლასის ბოლოს წერენ შემაჯამებელ წერილობით შეფასებას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცვნენ 2020-2021 სასწავლო წლის IV კლასის მოსწავლეთა შემაჯამებელ შეფასებას, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი მოსწავლეების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას. **მოსწავლის შეფასების კომპონენტებია:** ➢ მიმდინარე საშინაო დავალება; ➢ მიმდინარე საკლასო დავალება; ➢ შემაჯამებელი დავალება; სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). 1. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. 2. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. 3. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმის აღნიშნული რეგულაცია დაცულია სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებში შეფასება ხორციელდება კათედრებზე შემუშავებული რუბრიკების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა და მასწავლებლების მიერ შევსებული ანალიზის ფორმები ყველა საგანში. მასწავლებლებთან გასაუბრების და შემაჯამებელი დავალებების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ რომ მოსწავლეების შეფასების დროს უპირატესობა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს ენიჭება: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ. მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. ყველა შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმაში მოცემული იყო სტატისტიკა, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო მაღალი, საშუალო და დაბალი შეფასება. რამდენიმე საგნის შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმაში (მაგ. სამოქალაქო განათლების), მოსწავლის მიერ მიღებული ქულა კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკის მიხედვით იყო დაყოფილი, რამაც მასწავლებელს საშუალება მისცა უკეთ დაენახა მოსწავლეთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, დაეგეგმა შესაბამისი სასწავლო აქტივობები და მიეცა მოსწავლეებისთვის ეფექტური უკუკავშირი. სასურველია, ყველა შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს მასწავლებლები ითვალისწინებდნენ ამ პრინციპს. გასაუბრების დროს, დირექციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უკვე მუშაობენ პედაგოგებთან, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმაც, როცა ისაუბრეს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორტფოლიოები; • მასწავლებელთა პორტფოლიოები; • ინტერვიუების შედეგები; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც ჩამოყალიბებულია მასწავლებლის/დამრიგებლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმები. ესენია: • თითოეულ კლასში მშობლებთან სავალდებულო შეხვედრა ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს; • საგნის მასწავლებელს სკოლის დირექტორთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით უფლება აქვს დაიბაროს სკოლაში მშობელი; • სკოლაში წარმოებს „განცხადებების დაფა“, სადაც განთავსებულია მშობლისათვის საინტერესო ინფორმაცია, სიახლეები, დაგეგმილი შეხვედრებისა და ღონისძიებების გრაფიკი; • მშობელი არჩევს მისთვის სასურველი კომუნიკაციის საშუალებას (სატელეფონო ზარი, SMS შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, წერილის გაგზავნა და ა.შ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელის სკოლის გვერდი, ასევე სოციალურ ქსელში თითოეული კლასისა და საგნისათვის შექმნილი ,,ჩატი“ წარმოადგენს მშობლებთან კომუნიკაციის საშუალების სხვადასხვა ფორმას. • ელექტრონული ჟურნალი - მშობელს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს თავისი შვილის აკადემიურ მოსწრების, გაცდენის საშინაო დავალების შესახებ ინფორმაციას. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ აღნიშნული რეგულაცია ქმედითია, სკოლის წარმომადგენლები აქტიურად იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას სასწავლო პროცესში მშობლების ჩასართავად და ინფორმაციის გადასაცემად. მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ საჭირო დროს მიმართონ სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელს და მიიღონ მათგან უკუკავშირი. აღნიშნულ დოკუმენტში ჩანს, რომ დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: ➢ სკოლის შინაგანაწესი; ➢ მოსწავლის ქცევის კოდექსი; ➢ სახელმძღვანელოების ნუსხა; ➢ უსაფრთხოების წესები; ➢ სასწავლო პროგრამები; ➢ სადამრიგებლო პროგრამა; ➢ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ინტერვიუს დროს მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათ ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ სიახლეებს და რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის 01-04/22 ბრძანებით დამტკიცებული მშობელთან ურთიერთობის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ელექტრონული ჟურნალი-https://eservices.schoolbook.ge/; • მშობლებთან ინტერვიუს შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი პასუხისმგებელი პირების მოვალეობები, პროცედურები, შესაფასებელი სფეროები, მონაცემების შეგროვების წყაროები, ანგარიშის წარდგენის ფორმები, რეკომენდაციები. დოკუმენტის მიხედვით, შეფასებას ექვემდებარება სასწავლო პროცესის ფუნქციონირება; სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების მიმდინარეობა; კათედრის მუშაობა; მოსწავლეთა მიღწევები ცალკეულ საგნებში; სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები, კლუბები; კომპლექსურ-შემაჯამებელ სამუშაოები; კურიკულიუმები და თემატური გეგმები კლასების მიხედვით; საგაკვეთილო პროცესის ხარისხი. შეფასების წყაროებია: სკოლის დოკუმენტაცია; გამოკითხვები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან; საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და სხვა სახის წყაროები. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მექანიზმი სკოლაში ეფექტიანად ფუნქციონირებს და მის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები. მაგ. 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში კონკრეტული საგნის წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადანაწილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვა საგნებს შორის სწორედ წინა სასწავლო წლის სსგ-ის შეფასების შედეგად. აღნიშნული პროცესი იკვეთება კათედრების ოქმებსა და პედსაბჭოს ოქმებშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს თაობის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები; • კათედრების ოქმები; • პედსაბჭოს ოქმები; • პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია მისია იყოს უფრო მოკლედ ფორმულირებული და ლაკონური. 2. სასურველია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგანი - გერმანული ენა არ ისწავლებოდეს მხოლოდ მე-3 - მე-6 კლასებში. გერმანული ენის სწავლების სირთულიდან გამომდინარე, ეფექტური შედეგის მისაღწევად, სავალდებულო სწავლება სასურველია გაგრძელდეს მეცხრე კლასის ჩათვლით ან/და საგანი მოსწავლეებს შესთავაზონ მხოლოდ ფაკულტატური სახით.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კერძო სკოლა შპს „თაობა“ მდებარეობს ქ. ბათუმში და განთავსებულია 885 კვ.მ მიწის ფართზე არსებულ 3-სართულიან, 1135.00 კვ.მ.--ის შენობა-ნაგებობაში, რომელიც იჯარის, 13- წლიანი ხელშეკრულებით (2016-2028 წწ) აღებული ჰქონდა მფლობელისგან შპს „თაობისგან“. 2020 წლის 17 იანვარს მოხდა მფლობელის შპს „თაობის“ მიერ მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის გაყიდვა სანაცვლო ქონების გადაცემის პირობით. 2020 წლის 17 იანვრის მდგომარეობით აღნიშნული მიწის ნაკვეთის მისამართი იყო ხიმშიაშვილის ქ. 30ა. მას შემდეგ, რაც შენობა დარეგისტრირდა სამშენებლო კომპანიის შპს „ელთ ბილდინგის“ საკუთრებაში, მესაკუთრემ გააერთიანა შენობის გარშემო არსებული მომიჯნავე მიწები და შედეგად საერთო ნაკვეთის მისამართად განისაზღვრა ლეხ და მარია კაჩინსკების ქ. N17ა/19, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული იჯარის ხელშეკრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დარჩა მოიჯარე კერძო სკოლა შპს „თაობის“ სასარგებლოდ. იჯარა, რომელიც გაფორმებული იყო 2016 წელს 2028 წლის 30 დეკემბრამდე, თავდაპირველ მესაკუთრესგან უცვლელად გადავიდა ახალ მესაკუთრეზე, რომლის სარგებლობის ბოლო ვადად განისაზღვრა ასევე 2028 წლის 30 დეკემბერი. ყოველივე ზემოაღნიშნულს ადასტურებს საჯარო რეესტრის ამონაწერი. მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად შეიცვალა საკადასტრო კოდიც და მიენიჭა შემდეგი კოდი: N05.32.18.070
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილია 30/ა; იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა, N17ა/19
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N05.32.18.070
კვ.მ.	1335.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (საიდენტიფიკაციო კოდი 445474415); • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი ; N 05.32.18. 070; • იჯარის ხელშეკრულება; • შენობის ტექნიკური პასპორტი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია 18 საკლასო აუდიტორია, 1 ფიზიკის ლაბორატორია, 1 ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია, 1 ისტ -ის ლაბორატორია, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 რესურს ოთახი, 1 სპორტული დარბაზი, 1 ქიმიური და სადეზინფექციო მარაგების ოთახი, 1 არქივი. საკლასო ოთახებში საერთო ჯამში განთავსებულია არსებული მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისი 255 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კედელზე კიდია დაფა/დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებეი, მოსწავლეთა ნაშრომები, თაროები და რიგ მათთგანში დგას კარადები. ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელია განთავსდეს 280 მოსწავლის მაგიდა და სკამი, **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახები და მათი აღჭურვილობა სრულად არის მორგებული მოსწავლის საჭიროებებს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, რომლის საერთო ფართია 87.75 კვ.მ, სიმაღლე 4.45. დარბაზში დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ხელბურთის კარი. შესაბამისად, სპორტის სახეობებად არჩეულია შემდეგი დისციპლინები: კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი. დარბაზის გვერდით განთავსებულია გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისათვის. შესყიდვის დოკუმენტაციებისა და დათვალიერების შედეგებით დგინდება, რომ სკოლის მფლობელობაშია არაერთი ბურთი ზემოჩამოთვლილი სახეობებისთვის, ასევე სახტუნაოები, მეკარის ხელთათმანები, ბაგირი, კალათბურთის კალათები, ფრენბურთის ბადეები და მრავალი სხვა. სპორტულ დარბაზში არსებული მატერიალური რესურსი ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური ჯანმრთელობის განვითარებას და შესაძლებლობას აძლევს გოგონებსა და ბიჭებს, თანაბრად დაეუფლონ გუნდურ და/ან ინდივიდუალურ სპორტის სახეობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია; • სასკოლო სასწავლო გეგმა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნებისთვის მოწყობილი ლაბორატორიები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმითა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული კომპეტენციების სათანადო დონის მიღწევის შესაძლებლობას. სკოლაში 2 ლაბორატორიაა. ერთ-ერთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მათგანში განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის, ხოლო მეორე კაბინეტში - ფიზიკის ლაბორატორია. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი ფარი, კარადებში განთავსებულია რეაქტივები. ორივე კაბინეტში განთავსებულია მაგიდები და სკამები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია; • სვადასხვა წელს შეძენილი რეაქტივების დოკუმენტაცია; • სასაქანლო ზედნადებები; • ვიზუალური დათვალიერება; • შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და არსებული გარემოებით. ყველა აუდიტორიას აქვს დიდი ფანჯრები, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივი განათების შესაძლებლობას. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის სიტემა და, შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია 2-2 სანიტარული კვანძი როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისათვის. ყველა სართულზე არის 1 ადაპტირებული სანიტარული კვანძი სსსმ და შშმ პირთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოა შექმნილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ბათუმის წყალთან“ გაფორმებული ხელშეკრულება; • „სოკარ გაზთან“ გაფორმებული ხელშეკრულება; • სს „ელექტრო პრო - ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება; • გადახდის ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2264 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული ლეპტოპი, 1 პრინტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შეტანილია ელექტრონულ ანბანურ და საგნობრივ კატალოგში, შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები. ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; • წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი; • სასაქონლო ზედნადებები; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ამ ეტაპამდე სკოლას არ ჰყოლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზაობას, რისთვისაც შექმნილია ადაპტირებული გარემო. სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც მოწყობილია წესების დაცვით. მასში განთავსებულია ტახტი, მოსწავლისა და მასწავლებლის მაგიდა, შენობის 2 სართულზე განთავსებულია ყოველმხრივ ადაპტირებული 2 სანიტარული კვანძი. დამზადებულია პანდუსები, მაგრამ რამდენადაც ეს საჭიროება ამ ეტაპზე არ დგას, არ არის დამონტაჟებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია; • მირება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს: ინტერნეტში ჩართული 16 კომპიუტერი, მათ შორის, 3 კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში, 1 ბიბლიოთეკაში, 1 რესურს ოთახში და 12 ისტ-ის კაბინეტში. სკოლას აქვს ასევე 3 მულტიფუნქციური და 1 პატარა პრინტერი. 2 პროექტორი, 2 ხმის გამაძლიერებელი და სხვა. სკოლის ვებგვერდი http://taoba.edu.ge/ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: სკოლის მისია და მიზანი, შინაგანაწესი; 2021-2022 წლების სასწავლო გეგმა, მასწავლებლის ეთიკისა და მოსწავლის ქცევის კოდექსები; ინფორმაცია სკოლის ახალი შენობის შესახებ; სკოლის წესდება; ელექტრონული ჟურნალი; ინფორმაცია სიახლეების შესახებ; საკონტაქტო ველი. ვებგვერდი ორენოვანია (ქართული და ინგლისური). ინგლისურ ვერსიაზე მიმდინარეობს განახლების და შევსების სამუშაოები. ვებგვერდზე მიმაგრებულია საკომუნიკაციოდ მესინჯერის chatbot - სისტემა (ავტომოპასუხე) რომელიც ავტომატურ რეჟიმში აწვდის დაინტერესებულ პირს სხვადასხვა ინფორმაციას სკოლის შესახებ. **სკოლის ელექტრონული ფოსტაა: schooltaoba@gmail.com Generation-62@mail.com.** **დასკვნის სახით: სკოლას სრულფასოვნად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც დადასტურდა სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი http://taoba.edu.ge/ ; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • სს „სილქნეტთან“ გაფორმებუ;ლი ხელშეკრულება; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. შენობის მეორე და მესამე სართულებზე გამოკრულია დიდი ბანერები, რომლებზეც ასახულია ინფორმაცია ცეცხლმაქრების მოხმარების, პირველადი დახმრების გაწევისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების შესახებ. შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (9). სკოლის ყველა სივრცეში განთავსებულია კვამლის და მოძრავი სიგნალიზაციის დეტექტორები, ასევ განგაშის ღილაკი ავარიული განათება და ,,ხმოვანი სიგნალი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, რომელიც შექმნილია უფლებამოსილი ორგანოს შპს „ლაშვარდის“ მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სამედიცინო დახმარებისთვის სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაგიდა, დამონტაჟებულია ონკანი, დგას სასწორი და გამოკრულია პირველადი დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექთანთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას. შემუშავებულია სამედიცინო დახმარების მექანიზმების, ექთნის დებულება და გაწერილია მისი უფლება-მოვალეობები. სკოლის შესასვლელში გამოკრულია ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“ -ის ცხელი ხაზის ნომერი 112; განათლების სამინისტროს ნომერი; სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი; სკოლის ფსიქოლოგის ნომერი; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. **სკოლას, არ ჰყავს ექიმი, იხ. სტანდარტი 3.1.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • ექთნის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ჩანაწერების ჟურნალი; • ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ დამრიგებლები და როგორც სკოლის კოლექტივთან გასაუბრებით ირკვევა, ყველა მათთაგანი. შენობის დაცვასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაა გაფორმებული დაცვის პოლიციასთან, ასევე თანამდებობრივად წესრიგის და უსაფრთხოების დაცვა ევალება პირს - წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მენეჯერს, რომელიც სკოლის ფსიქოლოგთან ერთად ზრუნავს მოსწავლეებისთვის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის. პრევენციის მიზნით ისინი მოსწავლეებთან ატარებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ გასაუბრება/გამოკითხვებს, ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიება ცნობიერების ასამაღლებლად, ტოლერანტობის მიმართულებით და ემპათიური უნარების განსავითარებლად - ყოველივე ზემოთქმული დადასტურდა მოსწავლეებთან გასაუბრებით. სკოლამ წარმოადგინა - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დებულება, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამინისტროსთან. თუმცა, პროცესი უკვე დაწყებული იყო - მიმდინარე წლის 04 აპრილს, შპს ,,თაობამ“ შუამდგომლობის წერილით N01.06/5, მიმართა ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსს, დოკუმენტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.. პროცესი, ვიზიტის პერიოდში, დასრულებული არ იყო..
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამები; • შპს ,,თაობის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • გასაუბრების შედეგები; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. შენობის და მიმდებარე ტერიტორიის გასაკონტროლებლად დაწესებულებას აქვს 13 კამერა, მათ შორის 8 დამონტაჟებულია სკოლის შენობაში, ხოლო 5 - გარე პერიმეტრზე. სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ახორციელებენ დირექტორი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობა; • ვიდეო-სამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტაციისა. მათ შორის სკოლა თაობის წესდება, სკოლა თაობის კონცეფცია და განვითარების სტრატეგია, შპს „თაობის“ შინაგანაწესი, დამრიგებლების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, პირველადი სამედიცინო დახმარების დებულება, კათედრების დებულება, საქმიაწარმოების წესი, IT მენეჯერის ინსტრუქცია, ბუღალტრის ინსტრუქცია, ფსიქოლოგის ინსტრუქცია და სხვა. წესდებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა, შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები და კონკრეტული სამუშაო აღწერილობები. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის ფორმები. სკოლა თაობის კონცეფციით გამოხატულია სკოლის არსი, რაც გულისხმობს განვითარების 3 მიმართულებას. ესენია: აკადემიური, ემპათიური და აქტივობები. სტრატეგიის სამივე მიმართულება არის კონცეპტუალური: ისინი ავსებენ ერთმანეთს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამომდინარეობენ ერთმანეთისგან. სტრატეგიის მთავარი კონცეფცია არის ის, რომ მოსწავლე სწავლების ყოველ საფეხურზე მიიღებს აკადემიურ განათლებას, გაიღრმავებს ინტელექტუალურ და ემპათიურ უნარ-ჩვევებს, ხოლო სტრატეგიის ყველა პროგრამა ორიენტირებული და მორგებული იქნება მოსწავლეზე (მის ასაკზე და შესაძლებლობებზე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლა თაობის წესდება; • სკოლა თაობის კონცეფცია და განვითარების სტრატეგია; • შპს „თაობის“ შინაგანაწესი; • დამრიგებლის დებულება; • ბიბლიოთეკის დებულება; • პირველადი სამედიცინო დახმარების დებულება; • კათედერების დებულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა თაობას, წინა სასწავლო წლის საქმიანობის და შედეგების ანალიზის (SWOT) საფუძველზე, შემუშავებული აქვს 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. შესასრულებელ ამოცანებს შორის არის სკოლის ახალი შენობით უზრუნველყოფა, რომელიც ადაპტირებული იქნება თანამედროვე სასკოლო სტანდარტებთან (სკოლის ახალი შენობის შესახებ ხელშეკრულება დადებულია სამშენებლო კომპანია „ელთ ბილდინგთან“ და უკვე მშენებლობის პროცესშია).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემუშავებულია ასევე ერთწლიანი 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ორივე გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას. გეგმებში ასახული შესასრულებელ ამოცანები სრულად მოიცავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებს, შესრულების დროს და პასუხისმგებელ პირებს, თუმცა მათში არ არის ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შემდეგი რჩევა - <u>შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების გეგმის ჩარჩო, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ასევე ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2027 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან და რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა: შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის ჟურნალები, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, ჟურნალები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული და გასული კორესპონდეციების, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საქმისწარმოების ერთიანი წესი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების გეგმის ჩარჩო, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ასევე ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სტრუქტურის, საშტატო განრიგის და არსებული მდგომარეობით 12 თანამშრომელია: 1 დირექტორი, 3 დირექტორის მოადგილე, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბუღალტერი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ფსიქოლოგი, 1 ექთანი, 1 IT მენეჯერი, 3 დამლაგებელი და 29 მასწავლებელი. სკოლის ადამიანური რესურსი შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესებს. სკოლას, როგორც 2.6.ბ პუნქტში აღვნიშნეთ არ ჰყავს ექიმი, მაგრამ გაითვალისწინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და დაცვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	N41/ნ/01-23/ნ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების შესახებ“ და გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის სტრუქტურა; • სასტატო განრიგი; • ფაქტობრივი მდგომარეობა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**29**
მოწვეული/მაძიებელი	**19**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**0**
უფროსი მასწავლებლი	**10**
წამყვანი მასწავლებლი	
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა თაობის მასწავლებლები შერჩეულნი არიან საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სერტიფიკატები. სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით. სკოლის 10 პედაგოგს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 16 მასწავლებელი მაძიებელია და ემზადება საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებისთვის მიმდინარე 2022 წელს. 3 მასწავლებელი 2022 წლის ივლისში ასრულებს მასწავლებლის 60-კრედიტიან პროგრამას. სკოლამ წარმოადგინა 19 მასწავლებლის გამოცდებზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი ემისიდან; • მასწავლებელთა პირადი საქმეები; • გასაუბრების შედეგები; • მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა; • გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის შინაგანაწესი; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • მასწავლებელთა საგნობრივ გამოცდებზე რეგისტრაციის ფორმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა თაობაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. **მუხლი 11.** წესის თანახმად, სკოლაში მასწავლებლად შეირჩევა უმაღლესი განათლების მქონე პირი (შესაბამისი პროფესიული, პედაგოგიური კვალიფიკაციის) კონკურსის წესით. კონკურსანტმა მასწავლებელმა საკონკურსო კომისიის წესით უნდა ჩაატაროს საჩვენებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაკვეთილი, რის შემდეგაც საკონკურსო კომისიის წევრთა ერთობლივი დადებითი გადაწყვეტილებით იგი ინიშნება თანამდებობაზე. კონკურსში გამარჯვებულმა მასწავლებელი მოვალეა გაეცნოს სკოლის წესდებას, შინაგანაწესს და გააფორმოს შრომით ხელშერულება სკოლის დირექტორთან. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ვაკანსიების განთავსებას გეგმავენ http://teacherjobs.ge-ზე სკოლის შინაგანაწესის მუხლი 12.-ით განსაზღვრულია მასწავლებლის წახალისების მექანიზმი, რაც გულისხმობს წახალისების შემდეგ ღონისძიებებს: მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქარი; პრემია. შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებიც და თვითოეულ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური სახდელები. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ ისინი კარგად იცნობენ შინაგანაწესის ამ მუხლებს და ასევე ხშირად ყოფილან წახალისებული სკოლის მიერ. <u>ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია შინაგანაწესში უფრო დეტალურად გაიწეროს შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სკოლა თაობის შინაგანაწესი; • შპს სკოლა თაობის დირექციასთან და გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თაობის წარმომადგენლებთან: ადმინისტრაციასთან, ტექპერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც აღწერილია მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და მოვალეობები, შრომის ანაზღაურება და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი და სხვა. ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თაობაში შემუშავებულია ადამიანური რესურსის, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომლის უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით, ხოლო მთავარი ამოცანაა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ერთიანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას. სკოლის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითრების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები მოიცავს: თანამშრომელთა კვალიფიკაციის, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, ადამიანური რესურსის ურთიერთთანამშრომლობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოცდილების გაზიარებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. შექმნილია კითხვარები, რომლითაც დგინდება მათი საჭიროებები შემდგომი რეაგირების მიზნით. დირექციის მხრიდან საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო ტრენინგებზე, სემინარებზე და სხვადასხვა სიახლეებზე ინფორმაციის მიწოდებას და ასევ დირექციის მხრიდან საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო ტრენინგებში, სემინარებში და სხვა აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არიან, მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს ახლად მიღებულ გამოცდილებას და აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ტრენინგებში, რომელთა დაფინანსებასაც ხშირად თავად სკოლა უზრუნველყოფს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლების კომპეტენციის დადასტურების გამოცდებზე გასვლა ყველა მასწავლებელს სკოლამ დაუფინანსა. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, საგაკვეთილო პროცესის განხილვა/ანალიზს და მტკიცებულებებზე დაფუძნებული უკუკავშირის მიწოდებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს თაობის პროფესიული განვითარების მექანიზმები; • მასწავლებლების CV და სერთიფიკატები; • გასაუბრება ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად სუფევს დაცულობის, ურთიერთპატივისცემის კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მასწავლებლები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ ერთმანეთისა და სკოლის დირექციის მიმართ. საუბრობდნენ იმ დახმარებების შესახებ, რომლებსაც სკოლის დირექცია მათი პროფესიული განვითარების მიმართულებით იჩენს. იგულისხმება ტრენინგების, სემინარების დაფინანსება, გამოცდის დაფინანსება. მშობლებთნ გასაუბრების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სკოლა მუდმივად ზრუნავს მათი შვილების არა მარტო ხარისხიანი განათლების მიცემაზე, არამედ ძალას არ იშურებს მათი ტოლერანტ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის, მათში ემპათიური უნარ-ჩვევების, სწორი ღირებულებების და დამოკიდებულებების, ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის. განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში მათ შვილები სწავლობენ ურთიერთპატივისცემისა და მეგობრულ გარემოში და მათზე მუდმივად ზრუნავენ მასწავლებლები. ეხმარებიან მათ სირთულეების დაძლევაში, საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს, რისთვისაც ისინი არც დროს და არც ენერგიას არ იშურებენ. კმაყოფილება გამოთქვეს ასევე დისტანციურად სწავლის პროცესზე და აღნიშნეს, რომ გაკვეთილები ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა და ხშირად ისინიც მსმენელების როლში იყვნენ. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ერთი ოჯახის სხვადასხვა საფეხურის ბავშვები სწავლობენ. მათ შვილებს არ სჭირდებათ რეპეტიტორები, რაც დასტურდება ეროვნული გამოცდების შედეგებით. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელსაც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები ესწრებოდნენ, გამოიკვეთა მათი ინტელექტი, ცოდნის დონე, თანმიმდევრული არგუმენტირებული საუბრის მანერა. მათ აღნიშნეს, რომ მასწავლებლები მათი მეგობრებიც არიან. ისინი უქმნიან მათ საინტერესო გარემოს გაკვეთილზე მრავალფეროვანი მეთოდების შეთავაზებით, კონკურსებით, სასკოლო ოლიმპიადებით. ისინი იღებენ მონაწილეობას ოლიმპიადებში, ინტელექტუალურ თამაშებში. მათი ინტერესების გათვალისწინებით შექმნილია სასკოლო კლუბები. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანო რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩართულები იყვნენ სკოლის ცხოვრებაში და მასწავლებლებთან ერთად მიიღონ გადაწყვეტილებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია შინაგანაწესში უფრო დეტალურად გაიწეროს შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები.
ხარვეზები:	არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა -55

დანართების გვერდების რაოდენობა - 65

თბილისი, 22.06.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.